საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა: კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი: კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი: კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 101/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ /სიითი№..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. მ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 ივლისს ი. თ.-მა საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ გ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მიმართვის საფუძველზე, 2017 წლის 24 ოქტომბერს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროდან დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი - გ. მ., სისხლის სამართლის საქმეზე მისი ინტერესების დასაცავად.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ ადვოკატისადმი გამოცხადებული ნდობის მიუხედავად, სასამართლო სხდომაზე ი. მ-მ მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ ილაპარაკა, რის შედეგადაც მოსამართლემ მას მიუსაჯა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.4 საჩივრის ავტორი 2017 წლის 17 ივლისს სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დაუკავშირდა ადვოკატს და მოსთხოვა განემარტა, თუ რატომ ისაუბრა სასამართლოზე მის წინააღმდეგ, რაზეც ადვოკატმა ჯერ უპასუხა, რომ იგი სხვაგან მოხვდა, ხოლო შემდეგ კი უთხრა, რომ მას აღქმის უნარი ჰქონდა დაკარგული.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ამ ფაქტის შემდეგ მან ადვოკატისგან მოითხოვა მასალების უკან დაბრუნება და ჩამოცილება მისი საქმიდან, რის შემდეგაც გ. მ. დაემუქრა მას და შემდეგ შეაგინა.

1.6 2018 წლის 19 სექტემბერს საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და უკან გამოითხოვა ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ შემოტანილი საჩივარი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. მ.-მ 2018 წლის 21 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განაცხადა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები მისი მისამართით არის უსაფუძვლო და მოითხოვა დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2017 წლის 24 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მომართვის საფუძველზე, მან წარმოებაში მიიღო სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ბრალდებულ ი. თ.-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სფუძველზე (ქურდობის მცდელობა).

2.3 ადვოკატის განმარტებით, იგი საქმეში სავალდებულო წესით ჩაერთო პირველი ინსტანციის სასამართლოში, მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე. მან მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ პროცესებში, ბრალდებულთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა, რის შემდეგაც სასამართლომ არ გაიზიარა მათი პოზიცია, 2017 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი და საჩივრის ავტორს მიესაჯა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამის შემდეგ ადვოკატმა გაიგო, რომ საჩივრის ავტორს აღარ სურდა მისი მომსახურებით სარგებლობა და აყვანილი ყავდა ახალი ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში მისი ინტერესების დასაცავად.

2.4 ადვოკატის განცხადებით, პირველ ინსტანციაში განაჩენის დადგომიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მას ისევ დაევალა №.. პენიტენციალურ დაწესებულებაში ვიზიტი და საჩივრის ავტორის საქმის დეტალების გარკვევა, ვინაიდან გაირკვა, რომ ი. თ. ახალი ადვოკატის მომსახურებით იყო უკმაყოფილო.

2.5 ადვოკატის განცხადებით როდესაც იგი შეხვდა საჩივრის ავტორს, ამ უკანასკნელმა კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტზე, რომ მის ინტერესებს ისევ დაიცავდა, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა შეადგინა განცხადება და მოითხოვა მის საქმეში ადვოკატ გ. მ.-ის ჩართვა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მომდევნო დღეს მან შეიტყო, რომ საჩივრის ავტორმა შეიცვალა პოზიცია და აღარ სურდა მისი მომსახურებით სარგებლობა. ამის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს პირველ სხდომაზე, რომელზეც არ იმყოფებებოდა ადვოკატი საპატიო მიზეზის გამო, ი. თ.-მა განაცხადა, რომ არ სურდა ადვოკატის აცილება, რის შემდეგაც გ. მ. დაუკავშირდა მას და შეთანხმდნენ შეხვედრაზე.

2.7 ადვოკატი შეხვდა საჩივრის ავტორს №.. პენიტენციალურ დაწესებულებაში და ერთმანეთთან შეათანხმეს პოზიცია, რომელზე დაყრდნობითაც ადვოკატმა შეადგინა შესავალი სიტყვა და წარმოთქვა სასამართლო სხდომაზე. ადვოკატი განმარტავს, რომ სასამართლო სხდომის მეორე დღეს საჩივრის ავტორი ტელეფონით დაუკავშირდა მას და პრეტენზიული ტონით უთხრა, რომ ჩამოცილებოდა მის საქმეს, შემდეგ კი აგინა. როდესაც ადვოკატმა ჰკითხა, თუ რატომ აგინებდა, საჩივრის ავტორმა განუცხადა, „პირველად შენ შემაგინეო“. ამის შემდეგ ადვოკატმა ი. თ.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მის საქმეს ჩამოსცილდებოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ი. თ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 26 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, “დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) “. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა ი. თ.-მა უარი თქვა საჩივარზე 2018 წლის 19 სექტემბრის განცხადებით, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №101/18 ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/